

სახალხო გამარი

სურათების დამატება

ნაზარის № 931

დამატების № 164

შაბათი, 29 თიბათვე 1913 წ.

თეოდი ვარდი

შავი ზღვის პირს, ლამაზ კონცხზე
თეთრი ვარდი გაშლილიყო,
ერთ მხრივ ტალღა სდარაჯობდა,
მეორით — ტყე უბილიკო.
ღამე ტკბილად იძინებდა,
დილილი თეთრად იცინოდა,
ბულბული, რომ ფრთას მოჰვევედა,
ისიც გულზე მიეკვროდა!

მაგრამ ერთხელ ნელა-ნელა
თეთრ ვარდს ტალღა მიეპარა,
ჩამოსწყვიტა, გარტაცა
და მგოსანი გაამწარა!
კონცხზე დარჩა ვარდის ცრემლი,
არ ჰშორდება კონცხს ბულბული,
და მას აქეთ თეთრ ვარდის ცრემლს
უმღერს, უკვენეს მისი გული!

ი. ევდოშვილი.



ვარდი

(მიხი იუბილეს მთლილიშვილი)

შენი ფანდურის ჭირიმე, არწივო მაღალ-მთისაო —
მთების დუმიღიც რომ გესმის, ვით ძმას წყლული ძმისაო,
მთათა მაღალთა არ შვენის ბორკილი ედვას მტრისაო.
„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შავიბრალოთ რისადა?“
ყურს ჩასახოდი მძინარ მთებს იწვევდი ხოცად ცტრისადა —
ცრემლი გდიოდა, როს ჭვრეტილ მთას გაღმომზირალს მქისადა;
სოფელი ასე მენელია, ვინ სად დაეცეს, ვინ სადა!
ხედავდი არწივს დაჭრილსა, ყვავებს რომ ეომებოდა
მთის სისახუის სისხლითა, სვავი და ძერა ძლებოდა
მთაო, მძინარეს მტრის ხელში ნეტამც არ გამღვიძებოდა.
მთას ნისლი ამკობს, ველს — მდელო, ფანდურს კი — ცრემლის
მძივები,

შენი ფანდური სხეას არ ჰგაეს, სიმათ აქვს მზისა სხივები
მთანი ბრძოლადა შექუარე სალაშქროდ განამწკრივები.
შენი ფანდურის ჭირიმე, გულს მიტკბობს მისი უღერანი
ამირან ჯაჭვს თუ გასწყვეტარს, რას დააკლებენ ძერანი,
მტერს ფიცხლად უნდა ეკვეთოს, შორით რას არგებს მზერანი.
მთების მუზარადს შეჰედე! ტანზეც ისხამენ ფარხმალსა,
მთა ფრანგულს ისე შეჰნატრის — ვითა მუშაკი ნამგალსა
მტერს ისე დაერევიან, როგორც მინდია სამკალსა.
ცეცხლად დაჰკვესავს მაშინა შენი ღვთიური ქნარია:
„ათას ცოცხალსა ბევრჯელა — ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“...

კონიგსბერგი.

კ. აბაშის პირელი.

მეტევიან სოლი

მეტყვიან ხოლმე, — რისთვის მღერიო,
როს სევდა შავი ჰფარავსო გრძნობას
და გულ დაწყვეტით აღამიანი
ცას შეჰკვენესისო სულის ობლობას?

დიახ! ეს სიტყვა ბევრჯერ მსმენია
სასოწარკვეთილთ ხმით იღუმალით,—
მაგრამ სიმღერა, ჩემი სიმღერა
განცხოვებულა ას კეცის ძალით...

მე კარგად ვიცი, თუ გლოვის ფამსა
გულ-ხელ დაკრეფით მეც ცრემლი ვლვარე —
სხვაც მე ბანს მომცემს და ზედ დაერთვის
იარას ისევ იარა მწარე!

მე კარგად ვიცი, უბელურია
ვისი წარსულიც დიდებით ბრწყინვას,
მხოლოდ აშშიყ კი თვის სიბერიავით
მთლიად მოუწამლავს და გაუყინვას;

თვითონ უაზროდ ებრძვის სიცოცხლეს,
თვალებზე მარად ცრემლი უბრწყინვას
და ეშინან საკუთარ ლანდის
მის დანახვაზე, ჰკანკალებს, დრტვინას;

დაფერფლილ გულით ატარებს მარად,
გლოვისა ცეცხლსა დაუნელებელს,
ქედ-მოხრით მისდევს უამთა ქარიშხალს,
წყლულით წყლულსა ჰშობს განუკურნებელს.

რაც ხანგრძლივია ცხოვრება მისი,
მით ხანგრძლივი აქვს ტანჯვა და კვენსა;
კვალდაუჩნევლად გადის სოფლიდან
კვალ-დაუჩნევლად ჰკლავს სიცოცხლესა..

მე კი სხვა გზა მაქეს... ციურის ტრფობით,
გონება ჩემი ეტრფის სხვა ვარსკვლავს,
და ბედის უამთა ცვალებადობა
ჩემს სულის სწრაფვას ვერ სძლებეს... ვერა ჰკლავს..

და როს სიცოცხლე სიცოცხლისათვის
მღერის და მესმის ჰანგი ძლიერი,
იღუმალ განცდით ცეცხლმოდებული
ვეტრფი ცხოვრებას და ვმღერი... ვმღერი..

ს. ფაშალიშვილი.



ს ჩ რ დ ი ლ ი

პიონ ბაროხისა

ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი
თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან
დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლ-
დეს. (მათ. 23, 12).

ვნების კვირას გამოვიდა ის სააგადმყოფოდან და მობე-
რებული, გაჩიდებული, მაგარამ უკვე სალი ბრუნდებოდა თავის
ძველ დიასახლისთან, რათა კვლავ განეგრძო თვისი უბელური

ცხოვრება, ცხოვრება მეძავი ქალისა. სახეზე ცხოვრების უკულმართობის კვალი აღმოჩნდა, გულს სირცხვილი, დამ-ცირება ჩასახოდა.

თავში ერთი აზრიც არ უტრიალებდა, მას მხოლოდ ერთი სურდა, სურდა სიკვდილი, სურდა სამუდამოდ მოსვენება. იქნება მას სიკვდილი იმ საავადმყოფოს კედელთ შუა ერჩია,



ვლ. ლოროქიფანიძე

გარდაიცვალა 1909 წლ. 27 ივნისს.

სადაც ცოდვას, მანკიერებას მოეყარა თავი, ვიდრე კვლავ ცხოვრებას დაბრუნებოდა.

ხელში პატარა ბოხჩა ეჭირა, კონკებით საფსე. ნახევრად სიბნელეს მიჩვეული თვალები, დღის სინათლეზე ეხუჭებოდა.

მოუსვენარ მზეს ჭაბუტიშვილი გაუდიოდა ლურჯ, მოკრიალებულს ცაზე.

მან უცებ ხალხში ამოჰყოთავი, შეჩერდა. გზაზე მიცვალებულს მიასვენებდნენ, უნდოდა დაენახა. უკ, რამდენი ხანია რაც მას გასვენება აღარ უნახვს!.. ახსოვს, იქ, თავის სოფელში, როცა ის ახალგაზდა, იყო, მხიარული, არ იყო ასეთი საზიანო არსება როგორც ეხლა. მაგრამ ეს, უკ... როდის იყო!!..

ის იდგა თავისთვის და შეცყურებდა როგორ მოასვენებდნენ. უცებ ვითაც კაცმა, რომელსაც ის სრულიად არაფერს უშავებდა, შეუკურთხა და მუჯლუგუნი წაჰარდა. დანარჩენებმაც სიცილი დააყარეს, დაცინვა.

იგი სცლილობდა კვლავ დიმი აღებეჭდა სახეზე ამ შეურაცყოფათა საპასუხოდ, მაგრამ მისი ტუჩები საბრალოდ, ავადმყოფურად შეთამაშდნენ და ცრემლით საფსე თვალით, თავზაქინდრულმა განაგრძო გზა.

სახეზე ცხოვრების უკულმართობის კვალი აღმოჩნდა, გულს სირცხვილი, დამცირება ჩასახოდა.

მოუსვენარს მზეს ჭაბუტიშვილი გაუდიოდა ლურჯ, მოკრიალებულს ცაზე.

პროცესის წინ კაშკაშა მზეზე ბჭყრიალი გაუდიოდა მონაზონთა ოქრომკედით ნაკერ წამოსასხამებს, ვერცხლის ჯვრებს, ხავრადის დროშების ძვირფას ქვებს; შემდეგ მოსდევდა სამლელელობა, შემოსილი, წარჩინებულნი, სამხედრო პირნი ბჭყრიალა მუნდირებში გამოწყობილი, ყველა ძლიერნი ამა ქვებისანი, მოდიოდნენ მუსიკით, ხიშტებით, ხმლებით, მახვილებით გარემოულნი.

ის სცლილობდა გასცლოდა. ბიქები უკან მისდევდნენ, უყვიროდნან, დასცინოდნენ. თვალთ დაუბნელდა. ფეხს სწორედ ვერ აღდავდა, ბორძიკობდა, გრძნობდა ღონე ელეოდა. ყველასაგან აბუჩად აგდებული, შეურაცყოფილი მიდიოდა იგი თავზაქინდრული, ცრემლით საფსე თვალითა.

სახეზე ცხოვრების უკულმართობის კვალი აღმოჩნდა, გულს სირცხვილი დამცირება ჩასახოდა.

უცებ იგრძნო მან, რომ რაღაცამ განუწყვეტელმა ნელ-მა, ნაზია აღავსო გული მისი. უკან მიიხედა... რამდენიმე წუთით თვალთ დაუბნელდა... დაინახა დიადი, თეთრი აჩრდილი,

რომელიც მოსდევდა უკან და მოჰკონდა გული შეკრდილან ამოლებული, ეკლით დაჭრილი, დაწყლულებული.

დიადი, თეთრი აჩრდილი გაბრწყინვებული სახით და დამცინავი ლიმილით შეცყურებდა სამდვდელოებას, სამხედრო პირთ, წარჩინებულთ, ყველა ძლიერ ქვეყნისათა, მერე მოტრიალდა, მივიდა მშვიდ, დალვრემილ ქალთან და შუბლში უბიწო კოცნით დაჯილდოვა.

მონენება

კანულ-ჰამსუნისა

პატარაობისას რამდენიმე წელიწადი ნორდლანდში გავატარე ბიძა-ჩემთან, მღვდლის მამულში. ჩემთვის ეს დრო მეტად მძიმე იყო: ბიძა-ჩემი ბევრს მამუშავებდა, მცემდა, მტყებდა. იშვიათად მხვდებოდა წილად თამაშობა, გულგადაყოლიება. ასეთმა მყაცრმა მოპყრობამ იქამდე მიმიყვანა, რომ ბედნიერადა ესთვლიდი თავს, თუ კი მარტოკა დაგრჩებოდი, მივეფარებოდი სადმე. ვიხელთებდი თუ არა დროს, მაშინვე ტყისკენ ან სასაფლაოსკენ მივრბოდი, სადაც ჯრებსა და ძეგლებს შორის დავეხეტებოდი, ვფიქრობდი, ვოცნებოდი, ჩემს თავს ხმა მალლა ველაპარაკებოდი.



იტალიის საქევნოდ-უნიბილი მწერალი

გაბრიელე დანუნციო.

მღვდლის ვამული მდინარე ჰლომის ნაპირას მდებარეობდა და მეტად ლამაზს აღვილს წარმოადგენდა. თვით ჰლოვაში ჩადიოდა. კარგა განიერი, იგი ჩაჩქრებით იყო სავსე; ამასთან სწრაფიც იყო, და ამიტომ დღე-ლამ შეუილი გამ-

ქონდა. ეს მდინარე დრო გამოშვებით ხან სამხრეთით მიღიოდა, ხან ჩრდილოეთით, იმისდა მიხედვით ზღვაში ამ დროს მიქცევა იყო თუ უკუქცევა, მისი სიმღერა კი განუწყვეტლივ გაისმოდა და წყალი ისევ იმ სისწავეით მიექანებოდა ამა თუ იმ მხარეს, ზამთარ-ზიფხულ.

ზემოთ მთაზე ეკლესია და სასაფლაო იყო, ორივე ობლად მიტოვებული. ეკლესია ძველი იყო, ჯვრის მზგავსაღ ხისაგან აშენებული. სასაფლაოზე მცენარის ნასახი არსადა სჩანდა, საფლავებზედაც კი არ იყო ყვავილი. მხოლოდ ქვის კედლის ახლოს ერთს ალაგას იდგა მაყვლის ბუჩქი, რომელიც უხვადა სარგელობდა მკვდრების ნოკიერ მიწის სინოტივით და მსხვილ ნაყოფსაც ისხამდა. კარგად ვიცოდი თვითეული საფლავი, ვიცნობდი თვითვესულ ჯვარს, რომელიც ჩემს დროს არა ერთხელ გაუკეთებიათ საფლავზე, მაგრამ მაღალ დამზადა გადაწვენილა გვერდზე და ქარიშხალიან დამეში მაღალ სულაც გადაჭცეულა.

თუმცა საფლავებზე ყვავილები არსადა სჩანდა, მაგრამ სამაგიროდ ზაფხულობით მთელი სასაფლაო სქელი და ლონიერ, ბალახით იმსახოდა. ბალახი საკმაოდ მაღალიც იზრდებოდა. შეირად ამ ბალახში ვიჯე-ქი ხოლმე წელამდე ჩაფლული და ყურს ვუგდებდი მის ფუჩქნს, როდესაც ქარი შეარხევდა. ამ ფუჩქნს უერთდებოდა ქარისაგან საყდრის ზარის ყრუ გამოძახილი და ეს მცმენვარე ხმა ფანგ - მოკიდებულ რკინისა მთელს მიღამოს ედებოდა, თითქოს ეს რკინის ნაკერი მეორე რკინის ნაკერს კბილით უხრკიალებდა.


როდესაც მესაფლავე საფლავსა სთხრიდა, ხშირად გამოვებასებოდი ხოლმე, იგი მუდა დაღვრებილი იყო და იშვიათი იცინოდა, მაგრამ მე მაინც ალერსით მეპყრობოდა. ხშირად, როცა საფლავის პირას ვიდექი და ის კი საფლავიდან მიწასა ყრიდა ზემოდ, დამიძახებდა ხოლმე რომ მოვცულოდი, რადგან ნიჩაბს დიდი ძვალი ან კბილებ დაკრეპილი მკვდრის თავი მოედოვო. ხშირად საფლავზე ვპოულობდი მკვდრის ძვლებს ან თმას და მაშინვე მიწაში ვფლავდი, როგორც ჩემმა მეგობარმა მესაფლავებ მასწავლა. ამას ისე მივეჩივე, რომ არავითარ შიში არა ვერძნობდი, როდესაც ადამიანის ამისთანა ნაშთებს ვაწყდებოდი.

ეკლესის ერთ კუთხეში აკლდამა იყო ადამიანის ძვლებით სავსე. არა ერთი და ორი საათი გამიტარებია აქ თავს ვიყულიებდი და ჩონჩხის ძვლებისაგან სხვა და სხვა ფიგურებს ვაკეთებდი.

ერთხელ სასაფლაოზე ადამიანის კბილი ვიძოვე.

ეს იყო წინა კბილი, ნაგარი და ძალზე თეთრი. არც ვაცივე, არც ვაცხელე, ავიღე და სახლში წამოვიღე, მინდოდა ამ კბილიდან გამოშეხრხა რამე ფიგურა და ერთ რომელიმე სათმაშოში ჩამესვა, რომელსაც ხისაგან ვაკეთებდი. შემოდგომა იყო და აღრე ბინდდებოდა. ყველაფერი მოვისაქმიანე რაც საჭირო იყო და ესე ორი საათის შემდეგ სამოახლოში შევედი, რომ მუშაობას შევდგომოდი. სწორედ ამ დროს თხუთმეტიოდ დღის მთვარეც ამოვიდა.

ოთახში გნელოდა. ჩემს მეტი იქ არავინ იყო და სხვების მოსვლამდე ლამფის ანთება ვერ გავხდე. მივუჯექი ფეხს, ცეცხლის შუქზე მინდოდა მუშაობა, მაგრამ ცეცხლიც მიმქრა-



ფო. საქალაქო სახლი, რომელის ჩამონარეულმა კენელმაც 9 კაცი იმსხურავდა 24 ივნისს.

ლიყო. გავიქეცი სარაიაში შეშის მოსატანად. რადგან სარაიაშიც ბნელოდა, ხელის ფათურით მივდიოდა შეშისაკენ. უცებ რაღაცა დამეცა თავზე, თითქოს თითით ვიღამაც ჩამარტყა. სწრაფად-მიგიხედ-მოვიხედდე, მაგრამ არავინა სჩანდა. ხელები მივაფათურ-მოვაფათურ ირგვლივ—არაფერია. ვკითხე ხმა მაღლა—ხომ არავინ იყო, მაგრამ პასუხი არავინ მომცა. თავზე ჭუდი არ მეტურა. სწრაფად ვიტაცე ხელი იმ ალაგას, სადაც ის რაღაც დამეცა, რაღაც საშინელს, ყინულივით ცივს მოვარტყი ხელი და უცებ ისევ გაუშვი.

„რა ვწნა, რა უნდა იყვეს!“ გავითიქრებე გულში. ცოტა ზემოთ გავიშინჯე თმა-ცივი არ იყო.

„რა არის ნეტა ეს ცივი, ჭრილი თავზე რომ დამეცა?“ გავითიქრე კილევ, დავავლე ერთ ილია შეშას ხელი და სამოახლოში გამოვძუნდულდა. ფეხს შეუკეთე და ცდა დავუწყე ცეცხლი როდის გაჩალდებოდა.

ჯიბიდან კბილი ამოვიდე და ხერხი ავიღე ხელში, მუშაობა უნდა დამეწყო. უცებ ფანჯარა ვიღამაც დააკავუნა.

მივიხედე. ფანჯარის გარედ ვიღაც კაცი იდგა. სახე ზედ შეუშაზე მოედო. ის ჩემ ნაცნობთაგანი არ იყო, რადგან ახლო მახლოს ყველას ვიცნობდი. წითელი წვერი ჰქონდა, ყელზე წითელი მატყლის შალი შემოხვეული. თავზე თაჯი ეხურა. თუმცა მაშინ არ გამახსენდა, მაგრამ მერე კი გამიელვა თავში —არა, ასე, ნათლად როგორ გავარჩიე ის კაცი, როდესაც იმ სახლის მეორე მხარეს, სადაც ის იდგა, მთვარის შექიცარ უდგებოდა? საოცარი გარკვევით კი გავარჩიე მაშინ იმ კაცის სახეც ფეხმკრთალი, უფრო თეთრის მინაგვარი, თვალები მეომჩერებოდენ.

პატარა ხანს უკან იმ კაცმა სიცილი ასტება, მაგრამ ხმა-მალლა კი არა. პირი მხოლოდ ფართედ გააღდო, კბილები გა-შობყარა, თვალები კი წინანდებურად ჩემთვის შორებურო. რაც გინდა სტერიტ, მაგრამ ის კაცი იცინოდა. ხელიდან უველაფე-რი დამტკიციდა და თავიდან ფეხებამდე ჭირის ოლი დამასხა, იმ კაცის საშინელ პირში კბილებ შეუ შევამჩნიე შავად ხაზი — ერთი კბილი აქლდა.

ვიჯექი და შიშით ვერაფერი გამეგო. გაიარა კიდევ წუთ-მა. სახე უცებ შევცვალა ჯირ ძალზე გამწვანდა, მერე საშინ-ლად გაწითლდა, მაგრამ მაინც იცინოდა. მე მაინც გონებას არა ვკარგავდი და ირგვლივ უველაფერს ვამჩნევდი; ცეცხლი საქმიად ანათებდა ფეხის კარიდან და ოდნავ ოთახის მეორე მხარეს სწერებოდა, სადაც კიბე იღდა. მეორე თოახიდან კელ-ლის სათის ხმა მესმოდა. იძლენად კარგად ვამჩნევდი უველა-ფერს, რომ ისიც კი შევამჩნიე, რა ფერისა იყო იმ კაცის ქუ-დი — შავი ფერისა, გაქუცული, მხოლოდ მწვანე ნაწიბურით.

პატარა ხანს უკან მან თავი ძირს დახარა, დაიწია, დაი-წია და ფანჯრებს ძროს გაპერა, თითქოს მიწაში ჩივარდა. თვა-ლიც კი ვეღარ ჩოვეარ.

შიშით კინდამ გონებიდან შევიშალე, თრთოლამ ნელ-ნელა ამიტანა. ხელების კანკალით იატაკზე კბილს დაუწეუ ძებნა. თან თვალს არ ვაშორებდი ფანჯარის, სადაც შეიძლე-ბოდა ის კაცი კიდევ გამოჩენილიყო.

გპოვე თუ არა კბილი მაშინევ მინდოდა სასაფლაოზე უკან ამეტანა, მაგრამ მეშინოდა. ვიჯექი მარტოდ მარტო და განძრევასაც კი ვერა ვძელავდო.

უცებ გარედ ყური ფეხის ხმას, მიგხვდი, რომ ეს შოსაძესურე გოგო აძრაუნებდა თავის ხის ჩემებით, მაგრამ შიშით ხმა ვეღარ აძოვრდე და მან კარ წინ გაიარა.

გაიარა კიდევ პატარა ხანმა, რომელიც მე მთელ საუკუ-ნედ ჩონებენ. რა ვუყო, ფეხში ცეკველი მალე ჩაქრება, ხსნას კი ვერსარდან ვეღდაგ. როგორც იქნა კბილი-კბილს დავიკირე და ზეზე წამოვხტი. კარი გამოვალე და უკან-უკან გამოვედი სამოაქლოდან, თან ფანჯარის თვალს არ ვაშორებდი, სადაც ის კაცი დღა. გავედი თუ არა გარედ, მაშინევ თავისისკნ გავექნე, მინდოდა რომელიმე მსახური მენახა და მეთხოვა სა-საფლოოდის გამომყოლოდა. მაგრამ არც ერთი მუშათაგანი თავისი არ დამხვდა.

რაკი გარედ ვიყა, თავი უფრო მამაცად ვიგრძნე და გა-დავწევოტე სასაფლაოზე მარტო წავსულიყა.. ასე უფრო იმი-ტომ შევიქცე, რომ არ მინდოდა ეს ამბავი ვისტვისმე გამემ-უდავნებინა, რათა მას გინა-ჩემის უფრამდე არ მიეხწია, თორებ, ვაცოდი, შავი დღე დამადგებოდა. გადავსწყვიტე და კიდეც გავსწიე მთისკენ მარტო.

კბილი ცხვირსახოცში მეონდა გამოკრული და ისე მიმ-ქონდა.

სასაფლაოს კარების წინ შიშმა ისევ ამრტანა და გავჩერ-დი. მოისმოდა ძლიერ დაუსარულებელი შესული. ირგვლივ სი-ჩუმე იყო. სასაფლაოს კარის მაგიერ მხოლოდ თაღი-ლა ჰქონ-და. შიშით ერთს კედელს ავეტუზე და ფრთხილად გავყავ წინ თავი, რათა დავრწენებულიყა, ხომ არ შემეშინებოდა, რომ გზა განმეგრძნო. მაგრამ შენი ტერი მე იქ დღე დამადგა. თავი ვეღარ შევიკავე და შორწელი ფოთოლივით მუხლებზე და-ვეცი. კარები იქით, საფლავებ შეუ, იდგა ის კაცი. თავზე ისევ თაჯი ესურა, სახე ისევე ფერმერთალი ჰქონდა, ჩემსკენ იყუ-რებოდა და ხელით ზემოთ სასაფლაოზე მიჩვენებდა. მე ეს ძძნებად მიღებდე, მაგრამ შიშით წინ ფეხი ვეღარ გადავდგი. დიდი ხანი ვიდექი და შევცეროდი იმ კაცს, უსიტყვიდ ვე-ველებოდი. ის კი იდგა წყნარად და არ ინძრეოდა. უცებ ჩემ თავისათან ვილასიც ფეხის ხმა და სტვენა მომესმა. მიგხვდი, ეს რომელიმე ჩემნინი იყო და ამან ცოტა არ იყოს გამოხნე-გა. ჩემს ხელის ცოცხალი არსების ხმა გავიგონე და ამან ფეხ-ზე წამომაყენა. კაცი კი ნელ-ნელა გამშორდა. ის კი არ მი-დოოდა, პირდაპირ მისრიალებდა საფლავებზე და თან შორს ხელით მიჩვენებდა. მე კარებში შევედი, ის უფრო მიტყუ-ლებდა. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და შევჩერდი, სიარულის თავი აღარა ჰქონდა. ხელების კანკალით გამოვხსენი ცხვირსა-ხოციდან თეთრი კბილი და რაც ძალი და ლონე მეონდა საფ-ლავზე დავანარცხე. სწორედ ამ დროს ქარმა შენდრის საყდ-რის ზარი, მასთან ერთად შემომესმა ჭრიალიც; ამან ხომ ქრუ-ანტელი დამიტარა ტანში. გამოვტრიალი კარებისკენ და ში-ნისაკენ გამოვქუსლე.

სამზარეულოში რომ შევედი, მითხრეს, რომ შესხედო-ლივით თეთრი მეონდა.

დიდმა დრომ გაიარა მასუკან, მაგრამ უველაფერი მახსოვს ეხლაც. თვალ-წინ მიდგია ჩემით სასაფლაოს კარებში რომ ვებდე გაშორილი, თვალ-წინ მიდგია ის წითელ წვერა კაციც. რამდენი წლისა იყო ის კაცი—არ ვიცი. შეიძლება ოცი-სა იყო, შეიძლება ორმოცასაც. შემდეგშიაც ის ბევრჯელა ვნახე, ამაზეც ბევრჯელ ვიფიქრე, მაგრამ დღემდე ვერაფერი შემიძლია დანამდვილებით ვსთქვა მის წლოვანობაზე...

ბევრჯელ ლამითაც, ბევრჯელ დღითაც მოდიოდა ის კა-ცი. განმეობოდა ლრექით, გამოკურებიდან კბილებს, რომელთა შორის ერთი აკლა, და ისევ გაპერებოდა. რადგან თოვლი მოგიდა, სასაფლაოზე ველარ წავედი, რომ კბილი მიწაში ჩა-მეფლა. გატყობილი კი, რომ ის კაცი თანდათან უფრო იგვია-ნებდა. ჩემს მდგომარეობას ნელ-ნელა შევეჩიე, იმ კაცის ისე აღარ მეშინოდა, მაგრამ დღემდე კი გამიმწარა, ისე გამიმწარა, რომ შემძლებოდა ლიმაში გადავვარდებოდი, რათა მის ტალ-ღებში მეპოვა ჩემი წამების დასასრული.

დადგა გაზაფხული, გაპერა ის კაციც. მაგრამ გაპერა სა-მუდამოდ? არა, გაპერა მხოლოდ მოელ ზაფხულს, ზამთარში ისევ იჩინა თავი, მხოლოდ მაშინაც ერთხელ მეწვია და დიდი ხანი აღარსადა სხიანდა.

იმ კაცის პირველი ნახვის შემდეგ სამმა წელმა განვლო. მე ნორდლონდიდან წავედი; ერთი წლის შემდეგ დაგბრუნდი უკან უკვე დავაუკაცებული, როგორც მე თვითონა ვერძნობ-დი, მხოლოდ შევდლის მამულში კი აღარ დაგბრუნდი ბიძა-ჩემთან, არაედ მშობლებთან სახლში.

გაზაფხულის მიწურული იყო. ერთს საღამოს ის იყო ჩავშექი ლოგინში და ჩამოვლიმა, რომ ვრამაც ცივი ხელი კამადო შუბლზე. თვალები გავაკუიტე. ჩემს წინ ის კაცი იდ-გა. იგი ჩამოჯდა ჩემს ლოგინზე და თვალებში მომაჩერდა. ჩემს გარდა თახაში ჩემი რომ მათ მაინც არ გაძოვებოდურე. — არა, გამეცალ აქედან!.. ვუთხარი ხელის გაპ-ნევით, ცივი რომ ვიგრძები შუბლზე. ძმები განცვიტებით შე-მეტობენ ვის ლოპარა კებიო. ის ცოტა ხანს ისე იჯდა, მერე წელში ჩაეგა დაიწყო, სულ დიდებოდოდა, დიდებოდოდა. თავი თითქმის კერს მიაძინა, შემდეგ, რადგან წავეთ ალაგი აღარ იყო რომ გადიდებულიყო, ადგა, ნელის ნაბიჯით წავიდა ფე-ჩისკენ და იქ გაპერა. მე გაფაციუცებით თვალს ვაღევნებდი. წინად ასე ახლოს ჩემთან ის არასტრონს არ ყოფილია. შიგ თვალებში შევცეროდა. სახე მიმქრალი, მიბნედილი ჰქონდა. ის მიცემერდა, მაგრამ მისი თვალები თითქმის ჩემს გვერ-დით სხვაზე იყო მიცურობილი, თითქმის იგი ჩემში შორს გაი-ყურებოდა, სხვა სამეფოში. შეგამჩნიე, რომ მას უძრავი სახე და ჭროლა თვალები ჰქონდა. ის ეხლა არ იცინოდა. შუბლი-დან რომ იმისი ხელი მოვიცილე და ვუთხარი: „არა, გამეცა-ლ აქედან!“ მეთქი, ხელი წყნარად ამაცალი. მას თვალი არ დაუხამძებია, სანამ ჩემს საწოლზე იჯდა...

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ზამთარი ისევ დადგა, მე სახლიდან წავედი და რამდენიმე ხანს ერთ ვაჭართან ვიდე-ქი. კანტორაში და ლუკანში ვებმარებოდი. აქ უკანასკნელად ვნახე ის კაცი. ერთ საღამოს შევედი ჩემს თახაში, ავანთე სა-ნათა და ტანისამოსის ხდა დავიწყე. ფეხსაცმელს კარებ წინ ვაწყობდი ხოლმე. ავიღე თუ არა ფეხსაცმელი და კარი გა-მოვალე, დავინახე, რომ დერეფანში ჩემს წინ ისევ ის წითელ წვერა კაცი იდგა. ვიცოდი, რომ მეორე თახაში ხალხის ცხოვ-რობდა და გული მაგრა მეონდა. „აქც გაჩნდი?“ წავიბურტ-უკნე ხმა-მაღლივ. მან თავისებურად კრექა დაიწყო. ეს სიცი-ლი იგრე რიგად ლორ მაშინებდა; იმ წუთას უფრო დაკვირვე-ბული ვიყავი და შევაძინე, რომ კბილი თავის ალაგის იყუ-ნი ცის, იქნება ვინგე ჩაფლა ის კბილი მიწაში, ან იქნება იმ წელს დაითხენა, მტვრად იქცა და იმ ტეგერს შეუერთდა, რომ-ლისაგანაც იყო გამოვხდებული.

მან პირი მოკუმა და სანამ კარებში ვიდეექი, გატრიალდა, ჩავიდა კიბეზე და იქ დაბლა სადღაც გაპერა.

მას უკან იმ კაცისათვის თვალი აღარსად დამიკავ-ლი... მან, იმ ქვეყნის იმ წითელ წვერა მახარებლიმ, ჩემს პატარაობისას ლილი, აუწერელი შიში მა-კამა და ლორი ვნებაც შემიტანა: სხვა ბევრი მოჩვენება მინა-ხას, არა, ერთხელ გმდებარვარ ამ მოჩვენებებთან პირისპირ, მაგრამ არას ლროს არ მიგრძნია ისეთი შიში.

მაგრამ ვინ იცის, იქნება ზარალის გარდა სარგებლობაც. მომიტანა. ეს ხშირად გამიერლებდა ხოლმე თავში. შემიძლია გულ-ზე ხელდადებით ვსთქვა, რომ მან პირველმა მასწავლა ენაზე კლიტის დადება და სიმტკიცე, რაიცა შემდეგ ცხოვრე-ბაში ჩემთვის ისე საჭირო იყო.